

პასუხი: აღნიშნული საკითხი მრავალწახნაგოვანია, რის გამოც მას რამდენიმე კუთხით განვიხილავთ:

1. წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ დიალოღონის ლიტურგიებზე კათაკმეველთა კვერექსის აღსრულება *საეკლესიო ტიპიკონით არის განჩინებული*, და *არა-ერთ კომპეტენტურ ლიტურგიკულ წყაროში, მისი დატევების მიზანშეწონილობის შესახებ რაიმე მითითება არ მოიძიება*. უფრო მეტიც, აღნიშნული კვერექსის აღსრულების აუცილებლობის შესახებ განმარტებას არა-ერთ ლიტურგისტთან ამოვიკითხავთ. ასე მაგალითად:

– „*რატომაა დადგენილი ყოველ ლიტურგიაზე კათაკმეველთათვის ლოცვა, თუნდაც რომ კონკრეტულ ტაძარში წირვას არცერთი მათგანი არ ესწრებოდეს? იმისათვის რომ ამას მათდამი სიყვარული გვავაღდებულებს. არ არის დაბრკოლება, თუ წირვაზე მიზეზთა გამო მათ ვერ ვხვდებით; საკმარისია იმის ცოდნა, რომ სადმე მახლობლად, იმ გარემოში იმყოფებიან, სადაც ღვთის განგებით განეწესა მათი ყოფნა, იმ დრომდე, სანამ ნათლისღებით ქრისტეს ეკლესიის წევრი გახდებიან, ...ხოლო ჩვენს მიერ მათდამი სიყვარული, უფრო მარჯვე დროს როდის უნდა გამოვამჟღავნოთ, თუ არა საღმრთო ლიტურგიაზე დიაკვნის მოწოდებისას: „მორწმუნენო კათაკმეველთათვის ვილოცოთ,“... (6. 144-145) და სხვა;*

2. კათაკმეველთა კვერექსის აღსრულებისას, როცა წარმოითქმის სიტყვები: *„და გამოუცხადოს მათ სახარება სიმართლისა“*, ბაიხსნება ოლიკის მემოთხმ მხარში (1. 139-141, 211-213, 291-293). ამგვარად, თუ არ ითქმის კათაკმეველთა კვერექსი, როდისღა გაიშლება ოლიკი ბოლომდე? და თუ მას მსახურების რომელიმე სხვა ნაწილში გავშლით, ეს ხომ აშკარა გადაცდომა და ჩვენთან დღეს მომქმედი საეკლესიო ტიპიკონის დარღვევა იქნება, რაც ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელია;

3. თუ ტაძარში წირვის აღსრულებისას არცერთი კათაკმეველი არ იმყოფება, ეს არ გახლავთ მიზეზი კათაკმეველთა კვერექსის დატევებისა, რადგან სატაძრო მსახურებისას უამრავი მართლმორწმუნე ქრისტიანი იხსენიება, და მათ შორის ისინიც, ვინც საპატიო მიზეზთა გამო ტაძარში მსახურებაზე ვერ ესწრება. ასე მაგალითად: ავადმყოფები, მშობიარე მანდილოსნები, ჯარისკაცები, მორიგე ექიმები, გემზე მყოფი მეზღვაურები, პატიმრები და სხვები. ხომ არ დაგუტევოთ მათი მოხსენიება კვეთასა ან ბარძიმში? **რა თქმა უნდა არა!** ამგვარად, ეს პრინციპი კათაკმეველთა მიმართაც უნდა გამოვიყენოთ;

4. ასევე, უნდა გულისხმავოთ, რომ წირვის აღსრულებისას, კათაკმეველთა კვერექსი ზოგადად ყველა კათაკმეველს მიემართება და არა მხოლოდ ერთ ტაძარში, კონკრეტულ მსახურებაზე მყოფთ! სწორედ ამიტომაც, კათაკმეველთა კვერექსის დატევა არ იქნება მართებული;

5. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია კათაკმეველთა კვერექსის აღსრულება იმ შემთხვევაშიც, როცა ტაძარში მსახურებას არცერთი კათაკმეველი არ ესწრება, თუმცა დიაკვნის სიტყვების: *„რაოდენნი კათაკმეველნი ხართ განვედით, კათაკმეველნო განვედით“* წარმოთქმა მიუღებლადაა მიჩნეული, რადგან აქ კათაკმეველებისადმი პირდაპირი მიმართვაა ფიქსირებული (რომლებიც ტაძარში არ იმყოფებიან). ვფიქრობთ, ამგვარი შეხედულებაც არამართებულია, რადგან კათაკმეველთა კვერექსში არის ისეთი ორი მუხლიც, სადაც კათაკმეველებისადმი პირდაპირი მოწოდებაა მოცემული:

– *„ილოცეთ, კათაკმეველნო, უფლისა მიმართ“*;

– „კათაკმეველნი თავნი თქუენნი უფალსა მოუდრიკენით“.

ამგვარად, გამოდის რომ გარდა ზემოთითთებული მოწოდებისა („რაოდენნი კათაკმეველნი ხართ განვედით,“...), კვერექსის ეს ორი მუხლიც უნდა დავუტევოთ?! რა თქმა უნდა არა! ამგვარად, წირვაზე ყოველივე ეკლესიის მიერ განჩინებული უკლებლივ უნდა აღვასრულოთ;

6. გავიხსენოთ „ნათელად განმზადებულთა“ კვერექსიც, რომელიც დიდ მარხვაში პირველშეწირულის ლიტურგიაზე (IV შვიდეულის ოთხშაბათი დღიდან) აღესრულება. ისიც ხომ არ დაუტევოთ კათაკმეველთა კვერექსთან ერთად? და კვლავ დავძენთ, რა თქმა უნდა არა!

7. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ არაერთი ლიტურგისტის მითითებით, კათაკმეველთა კვერექსი გარკვეულწილად მორწმუნეებსაც მიემართებათ (ლოცვით: „*მორწმუნენო კათაკმეველთათვის ვილოცოთ*,“... და შემდგომი) რათა:

ა) სათანადოდ გამოიცადოს მათი სინდისი, თუ რამდენად ღირსნი არიან წირვაზე დასწრებისა და მართალთა ლიტურგიაში მონაწილეობის მიღებისა;

ბ) კათაკმეველებისადმი წმიდა და მხურვალე ლოცვით, ღირსნი გახდნენ უფლის წყალობისა და ჯეროვნად ზიარების მიღებისა (2. 253; 3. 179; 4. 196);

8. დიაკნის მოწოდებაზე: „*რაოდენნი კათაკმეველნი ხართ განვედით, კათაკმეველნი განვედით*“... ლაოდოკიის კრების მე-19 კანონის განმარტებით (5. 255), კათაკმეველთა ერთად ტაძარს გარკვეული მპიტმპიის ძველ მყოფი მორწმუნეებმაც ტოვებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით იგივე აზრი აქვს გამოთქმული კონსტანტინეპოლელ პატრიარქს წმ. გერმანესაც (4. 196).

მაშ როდისღა დატოვებენ ის მორწმუნენი ტაძარს, რომელთაც ეს ეხებათ? ხომ არ გამოიწვევს კათაკმეველთა კვერექსის ამოღება, საეკლესიო ტიბიკონის მორიგ დარღვევას? ამაზეც უთუოდ ღირს დაფიქრება;

9. და ბოლოს, მსგავსად წმ. იოანე კლემაქსის სიტყვებისა: „*ვიტყვი. რასაც მივმხვდარვარ. ვფიქრობ, მაგრამ არ ვამტკიცებ*“ (7. 39), რომ საღმრთო ლიტურგიაზე კათაკმეველთა კვერექსის დატევა მაშინაც კი, როცა ტაძარში მსახურებას არცერთი კათაკმეველი არ ესწრება, ერთგვარად ეწინააღმდეგება კათაკმეველობის უძველეს საეკლესიო წესგანგებას. აქედან კი სულ ერთი ნაბიჯია კათაკმეველობის ინსტიტუტის აუცილებლობის ეჭვის ქვეშ დაყენებამდე, რაც ყოველად მიუღებელია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. სამღვდელო კონდაკი – თბილისი, 1899წ.;
2. Настольная книга священнослужителя, т. I (Москва 1977г.);
3. И. Дмитриевский – Историческое, догматическое и таинственное изъяснение Божественной литургий (Москва – 2009г.);
4. Новая скрижаль – (Санкт-Петербург – 1998г.);
5. დიდი სჯულისკანონი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტე, თბ. - 1975წ.);
6. Епископ Висарий – Толкование на Божественную литургию (Киев - 2001г.);
7. წმ. იოანე სინელი, „კლემაქსი, ანუ კიბე“ (საეკლესიო ბიბლიოთეკა II) გამომცემლობა „ახალი ივირონი“ - თბილისი 2005წ.